საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/386
26/01/2023

386-21-2-202301261100

შპს "იორკ თაუნს"
მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რ-ნი,
ფარნავაზ მეფის გამზირი, N 51, ბლოკი A, საოფისე ფართი N6ა
ელ. ფოსტა: m.baghdinovi@gergili.ge r.enukidze@gergili.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7508 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სოფ. ტაბახმელას მიმდებარედ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხ(ებ)ი:

- წარმოდგენილ დოკუმენტში ჩამდინარე წყალში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩამონათვალი და ხარისხობრივი მაჩვენებლები (პარამეტრები) საჭიროებს დაზუსტებას და საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს გამწმენდი ნაგებობის საპასპორტო მონაცემები (სახელმწიფო ენაზე);
- წარმოდგენილ სკრინინგის ანგარიშში მითითებულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, 3.4 თავში (გვ. 35) აღნიშნულია, რომ **„მშენებლობის პროცესში მოსალოდნელია გეოლოგიური პროცესების გააქტიურება. სამშენებლო ტერიტორიის ფარგლებში შეინიშნება მცირე მეწყრული აქტივობა“**, ხოლო გვ. 41-ზე წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით **„ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერებით ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ რაიმე გეოდინამიკური პროცესის განვითარების კვალი არ შეინიშნება“.** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნ(ებ)ის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო